ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 60 40

20 მარტი 2015 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №33

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური

„სხივის“ ანგარიში 2014 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნა მიღებული ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივის“ ანგარიში 2014 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური

„სხივის“ ანგარიში 2014 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

ყოველდღიურად ხდებოდა დაბის მიმდებარე სოფლებიდან შეგროვებული ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე, რომელიც რაიონის ცენტრიდან 12 კმ-ით არის დაშორებული, საშუალოდ დღეში გაგვქონდა 18-20 $მ^3$ ნაგავი (3 გატანა) წელიწადში 7300$მ^3$ ნაგავი.

ასევე სისტემატიურად სუფთავდებოდა დაბის ტერიტორიაზე საკოლექტორო და სანიაღვრე არხები, განსაკუთრებით შემოდგომასა და ზამთრის პერიოდში ფოთოლცვენის დროს, არსებული სანიაღვრე არხები გარკვეულ მონაკვეთებში საჭიროებს აღდგენით სამუშაოებს.

ჩვენს მიერ მოხდა დაბის ტერიტორიაზე მარადმწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა (გასხვლა, შეთეთრება, შებარვა) ასევე მოხდა კომისიის მიერ დანომრილი გამხმარი ხეების ლიკვიდაცია დამუშავება, დამუშავების შედეგად მიღებული შეშა მიტანილი იქნა გამგეობის დავალებით სოციალურად დაუცველ ოჯახებში (35 ოჯახი).

ჩვენი სამსახურის მიერ გაწეული იქნა საბიუჯეტო და კერძო სექტორებზე ასილიზაციის მანქანით მომსახურება.

სამსახურის მიერ ამოღებული იქნა დასუფთავების მოსაკრებელი 5260 ლარის ოდენობით.

ჩვენი სამსახური მომსახურებას უწევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე საქუჩო განათების მოვლა პატრონობას, ექსპლოატაციას, ასევე აღრიცხვისა და მართვის კვანძებს, შეტყობინების და შემოვლების საფუძველზე პერიოდულად იცვლება დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები და დამწვარი ელექტრო ნათურები, ქსელის საერთო სიგრძეა 70კმ-ი ფარების რაოდენობა 2010 ცალი, აღრიცხვის კვანძი და მართვის კარადები 70 ერთეული ყოველივე ზემოთ მოყვანილი განთავსებულია მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე.

სამსახური შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება სოცილაურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს და აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში (საახალწლო ღონისძიებები, ბახმაროს ფერისცვალების დღესასწაული, 26 მაისის ღონისძიება და სხვა)

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა სამსახურს უფრო დიდი მიზნები და გეგმები გააჩნია, საჭიროა უფრო კარგად სუფთავდებოდეს დაბა და მიმდებარე ტერიტორიები, ხელისშემშლელი პირობები ძირითადად არის ის რომ ჩვენს სარგებლობაში მყოფი ტექნიკა, მანქანა-მექანიზმები ამორტიზებულია და ხშირად გამოდის წყობიდან, ასევე საკმარისზე ბევრად ნაკლებია სანაგვე ბუნკერები, თუ მოხდება აღნიშნული პრობლემების მოგვარება მკვეთრად გაიზრდება მომსახურების ხარისხი.